გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


**გაზეთი „ივერია“ პირველ სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.**

ტფილისი, 31 აგვისტო

ჯერ შარშანვე ასტყდა ჩვენში ლაპარაკი, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სკოლა ვერ აკმაყოფილებს ჩვენს ეხლანდელს მოთხოვნილებასა, მეტად დიდი ფული სჯდება, დიდი ხარჯი უნდება და ჩვენს ხელ-მოკლე შეძლებას მძიმე ტვირთად აწევსო. ამის გამო შესდგა აზრი, სკოლას სხვა გვარი გზა და მიმართულება მისცენ იმისდა მიხედვით, რომ თუ ხარჯი არ იკლებს, სარგებლობამ მაინც უფრო მეტი ნაყოფი მოიტანოსო. ეს აზრები თვითონ სკოლის გამგეობას დაებადა და ამ გამგეობამ შარშანვე არა ერთი და ორი კრება მოახდინა, თვისთა წევრთა და გარეშე მცოდნე კაცთაგან შემდგარი, იმ განზრახვით, რომ ამ ტკივილს რაიმე წამალი დასდონ და თითონ სკოლა გადააკეთონ ისე, რომ უფრო უკეთ შეეფერებოდეს ჩვენს დღევანდელს საჭიროებასა და მოთხოვნილებას.

დაიწერა და გასინჯულ-გადაჩხრეკილ იქმნა რამდენიმე პროექტი და, როგორც გვახსოვს, გამგეობამ სკოლისამ ვერც ერთი პროექტი ვერ იცნა საკმაოდ და საბოლოვოდ არავითარი გადაწყვეტილება არ დაადგინა. ჩვენ ჩვენს გაზეთში ამ საგანზედ ჩვენი აზრი წარმოვსთქვით თავის დროზედ და, როგორც ვიცით, არც ეს ჩვენი აზრი იქმნა მოწონებულ სკოლის გამგეობისაგან. რა თქმა უნდა, სკოლის გამგეობა უფრო ზედ-მიწევნით მცოდნეა ყოველ იმისი, რაც სკოლას და იმის გადაკეთებას შეეხება და ამიტომაც მეტის-მეტი კადნიერება იქმნებოდა სამდურავი რამ ვიქონიოთ ჩვენის აზრის დაწუნების გამო. ხოლო სასურველია ამ ერთხელ აძრულს საჭიროებას სკოლის ასე თუ ისე გადაკეთებისას თავისი დასასრული მისცემოდა მით უფრო, რომ თვითონ სკოლის გამგეობას ყველაზედ უკეთ უცვნია ეს საჭიროება და ამისთანა საქმეში დაყოვნება და დახანება თუ არ ავნებს, არას არგებს საქმესა.

ჩვენ ამ ფრიად რთულსა და საყურადღებო საგანზედ იმიტომ ჩამოვაგდეთ დღეს სიტყვა, რომ გვეცნობებინა მკითხველთათვის იგი აზრი, რომელიც დღეს კანტი-კუნტად ჰტრიალებს ჩვენს საზოგადოებაში და რომელსაც საბუთიანობა ეტყობა. ეს აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ეხლანდელი სკოლა მარტო მოსამზადებელ კლასიან სკოლად გადიქცეს ოთხის განყოფილებით; სხვა დანარჩენი კლასები გაუქმდეს იმ დრომდე, ვიდრე დონე და შეძლება ხელს შეგვიწყობდეს. ამ გზით, ამბობენ, ხარჯი სკოლისა ეხლანდელ ორი ათას ხუთას თუმნიდამ ათასს, ანუ ათა ორას თუმანზედ ჩამოხდებაო. ამ მოსამზადებელ კლასებს ის განსაკუთრებული საგანი უნდა ჰქონდესო, რომ ბავშვები სახელმწიფო სასწავლებლებში შესასვლელად ამზადოსო. თუ ვინიცობაა, აქ კურს-გათავებული რომელიმე ყმაწვილი ვერ დაიჭერს ეგზამენს სახელმწიფო სასწავლებელში შესასვლელად, ანუ სხვა რაიმე მიზეზით ვერ შევა, იგი გადავიდეს წინამძღვრიანთ-კარის სკოლაში. ამისათვის წინამძღვრიანთ-კარის სკოლას მიეცეს შესაფერი შემწეობა იმ ფულიდამ, რაც ეხლანდელს ხარჯს სკოლისას გადარჩებაო. ამ სახით, ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლის ყმაწვილს ორი გზა ექმნება გახსნილი: ერთი სახელმწიფო სასწავლებელი და მეორე სამეურნეო სკოლა წინამძღვრიანთ-კარისა. ამ სახით ჩვენს სათავად-აზნაურო მოსამზადებელს სკოლაში კურს-შესრულებული უნუგეშოდ არ იქმნება დარჩენილი, როგორც ეხლაა.

ჩვენ, რასაკვირველია, მარტო ძარღვი აზრისა აღვნიშნეთ აქა, დაწვრილებით და ყოველის მხრით გარკვევა აზრისა ჩვენზედ უკეთ მცოდნესათვის მიგვინდვია. ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ზემოხსენებული აზრი უსაბუთო არ არის და მეტი არ იქნება სკოლის გამგეობამ ამ მხრითაც გამოიკვლიოს ეხლანდელის ჩვენის სკოლის საქმე და მის გამო თავისი განაჩენი სთქვას. ჩვენის ფიქრით, ჯერ ხანად, როცა შეძლებით ასე უღონონი ვართ, უკეთესს ვერას მოვაგვარებთ. ვინ იცის, იქნება ამ გვარად შეცვლამ სკოლისამ იმოდენა ფული გადაგვინარჩუნოს ეხლანდელის ხარჯისაგან, რომ იმ ფულით უკეთესნი შეგირდნი და მოსწავლენი სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიაც გაგვაზარდინოს შინა, თუ გარედ. ყოველივე ეს ადვილად მოსალოდნელია და ამიტომაც ზემოხსენებული აზრი ამ მხრითაც დიდად შესაწყნარებელია, თუ სხვაფრივ არავითარი დაბრკოლება არ აღმოუჩნდა. სასურველი მხოლოდ ის არის, რომ ეს აზრი რაც შეიძლება მალე გამოიძიოს და გამოირკვიოს სკოლის გამგეობამ, რადგანაც ხანა სწავლებისა საცა არის უნდა დაწყებულ იქმნას და თუ ცვლილება რამ მოელის სკოლას, ეს ცვლილება ეხლავ მოხდეს.

## ახალი ამბავი

* * გუშინ-წინ, 30-ს აგვისტოს, რკინის გზაზედ ჰლაპარაკობდნენ, რომ ალსტაფიდამ ტფილისს მომავალ „პასაჟირების პოეზდში“ ერთი ვაგონი პირველის კლასისა მთლად გადაიწვაო. ლამპა გამსკდარა და აქედამ წაჰკიდებია ცეცხლი. შიგ მსხდომნი სულ გადარჩენილან, ხოლო ზოგიერთს ვერ მოუსწრია ბარგის გამოტანა და დასწვია.

* * ქართული წარმოდგენები, როგორც შევიტყვეთ, დაიწყება ბანკის ახლად გადაკეთებულს თეატრში ამ თთვის შუა რიცხვებში. პირველად წარმოდგენილი იქნება გ. სუნდუკიანცის პიესა „პეპო“, რომელიც დიდი ხანია ქართულს სცენაზე არ უთამაშნიათ, რადგანაც პეპოს როლის ამსრულებელი არა ჰყავდათ.

რადგან შარშანდელს კრებაზე ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ გამოაცხადა სურვილი გარდერობისა და ბიბლიოთეკის შევსებისა და რიგზე მოყვანისა, ამ ზაფხულს საზოგადოების მმართველობამ ყოველი ღონისძიება მოიხმარა, რომ ეს სურვილი საზოგადოებისა შესრულებულიყო. ბანკის თეატრის ცალკე ოთახში შესრულებულია და რიგზე მოყვანილი ყველა ტანისამოსი და პიესები, რომელიც-კი ხელთა ჰქონდა საზოგადოებას.

მმართველობამ, ზაფხულსავე, როგორც შევიტყვეთ, იშოვა რამდენიმე ახალი პიესა, რომელიც წარმოდგენილი იქნება ზამთარს: „ქმრების დამონავება“, „ბედი მუხთალია“, „ღარიბი სარძლო“, „მეორედ გაყმაწვილება“ და სხვ. დასი შედგენილია ადრინდელ უკეთეს არტისტებისაგან და აგრეთვე ზოგიერთ ახალ მოთამაშეთაგან, რომელთაც ნიჭი გამოიჩინეს ამ უკანასკნელს დროს.

* * ხარფუხში ერთი მკვლელობა კიდევ მომხდარა: წარსულს შაბათს საღამოს ბერძნების ეკკლესიის აქედგან თამამშოვის სასმელების დუქანში უსვამთ მირზოევის ფაბრიკის მომუშავეებს. იმათში ორს ამხანაგს არტემ ასლამაზოვსა და მიხაკ მამასახლისოვს ვიღაც მესამის გამო კინკლაობა მოსვლიათ და ბოლოს გაშორებიან ერთმანეთს. გულ-ნაწყენი არტემა ასულა იქვე თავისს სახლში, ტანთ გაუხდია და დაწოლილა. ნახევარს საათს შემდეგ ვერ მოუთმენია ისევ ჩაუცვამს ტანისამოსი და წასულა იმავე დუქანში მოქეიფე ამხანაგებთან. ამ ორს ამხანაგს კიდევ მოსვლიათ ლაპარაკი და სცემიან ერთმანეთს. კარგა ხნის ბლღარძუნაობის შემდეგ არტემ ასლამაზოვს ქვეშ ამოუღვია მიხაკ მამასახლისოვი. ქვეშ მოყოლილს უთაკილნია მარცხი, ქვეშიდგან ჯიბის დანა ამოუღია და ყელი გამოუღადრავს გამარჯვებულისათვის.

* * გრიბოედოვის ქუჩაზედ, მამადავითის პოლიციის პირდაპირ, ერთს ჩვენებურს დედაკაცს მეორესათვის ცხვირი ჩაუთლია ოდნავ. მიზეზი ამ შურის-ძიებისა ისა ყოფილა, რომ ამ დედაკაცს თავისის მძინარე ქმრისთვის თავის ნაცნობისას მიუსწრია, დაბრუნებულა და, როგორც გვითხრეს, დედამთილისათვის შეუჩივლია თავისი დარდი. დედამთილს უსწავლებია ზემოხსენებული ბარბაროსული საქციელი. ეს დედაკაცი კვლავ მისულა იმ სახლში, სადაც იმისს ქმარსა სძინებია, მიჰპარვია თავისს მეტოქეს, რომელიც ჰურჯელსა ჰრეცხავდა თურმე, და უკა-

# ფელეტონი

## მესხეთი და ბ-ნი ნ. უ—ელი

პატივცემულს მკითხველს საზოგადოებას უთუოდ ეხსომება, რომ „ივერიის“ 166 ნომერში დავბეჭდე მოკლე წერილი საერო ენასა და სათემო კილოს შესახებ. ამ წერილის დედააზრი იყო, რომ ძველად მესხეთმა, და ან უკეთ ვსთქვათ იქიდამ გამოსულმა სასულიერო თუ საერო მწერლებმა შემოიტანეს მესხური კილო ქართულს მწერლობაში იქიდამვე გამოსულ ბაგრატოვანთა გვარის გაძლიერებისათანავე, ის კილო ჰსუფევდა ჩვენის მწერლობის კლასიკურივს პერიოდში და ახალის დროების მწერლებმა-კი ყველამ თავ-თავის თემის კილოთი დაიწყეს წერა და ამ ნაირად აირია ენის ტაძარი-მეთქი. ვამბობდი აგრეთვე, რომ სათემო სიტყვა, ან სიტყვის საქცევი მაშინ უნდა იხმარებოდეს საერო მწერლობაში, თუ იმათ მაგიერ ან უცხო სიტყვაა შემოტანილი და ან სრულიად არაფერია-მეთქი. აღვნიშნე სათემო კილოს ხმარების საჭიროება მოთხრობის გმირთა საუბრის დროს და სხვანი. მესხურ კილოს არსებობა კლასიკურივს პერიოდში მოვიხსენე როგორც მოვლინება; სრულიად არ გამომიცხადებია მაშინდელის სტილით წერის საჭიროება და არც პროვინციალიზმების წინააღმდეგ გამოვსულვარ იმ სახით, რა სახითაც ჩემი პატივცემული მოკამათე მახსენებს. ბ-ნმა ნ. უ—ელმა გააუკუღმართა ჩემი აზრი; ვერ გაიგო, თუ სხვა რამე გარემოებამ აიძულა, არ ვიცი. მე-კი გამოტეხით მოგახსენებთ, რაც არ მითქვამს, ის მომაჩემა, და ზოგიც ნაოცნებარად ჩამომართვა.

მეტადრე უცხოდ სჩვენებია და ფანტაზიის ნაყოფად მესხეთიდგან ბაგრატოვანთა პოლიტიკურივის ძლიერების გამოსვლა და მესხურ კილოს არსებობა კლასიკურივს მწერლობაში. ეს აზრი ახალია და თუ ვინმე, რასაკვირველია, ისტორიის მოყვარე, ჩაუკვირდება, ისეთი საოცარი და ფუჭი არ არის, როგორც ბრძანებს ბ-ნი ნ. უ—ელი. პირ-იქით, საოცარია იმისი მოსაზრება, როდესაც ამბობს, ბაგრატოვანები გასომხებული ებრაელები იყვნენო და სხვა ადგილს შენიშნავს დიდის მოწმობით მეექვსე საუკუნემდე საქართველოს ყველაფერი თავისი მოეპოვებოდა: მწერლობაცა და ენაცაო.

ქვემოდ დაინახავთ კარგად, თუ რამდენად საფუძლიანია უკანასკნელი აზრი და პირველი ხომ წმინდა ოცნება არის, სომხის და ქართველ მწერალბერთაგან გამოგონებული და ორთავე ქვეყნის ბაგრატოვანთაგან ხელ-შეწყობილი იმ განზრახვით, რომ თავიანთი შთამომავლობა დავით წინასწარმეტყველის გვართან დაენათესავებინათ და მით თავიანთი ბატონობა ღვთისაგან კურთხეული ყოფილიყო, როგორც დავითისა და სოლომონისა, და ხალხის თვალშიაც ხელ-შეუვალი, ძნელად შესაბღალავი და სრულიად სჯულიერი გამოჩენილიყო.

ამ დინასტიის შთამომავლობა საარაკოა; ნამდვილს არაფერს წარმოგვიდგენენ არც სასომხეთის და არც საქართველოს მატიანენი, ეს კია მხოლოდ, რომ ბაგრატოვანები ჯერ სომხეთში გამეფდნენ და მერე საქართველოში. ჩვენი ბაგრატოვანები უფრო გაქართველებული სომხები არიან, თუ მართალი გნებავსთ. საქართველოს მეფის ვახტანგ გორგასლანის ძმე გვარამ ანუ გურამ ბაგრატოვანი ცოლის ნამზითევს კლარჯეთ-ჯავახეთში დამკვიდრდა და იქიდგან იწყება იმისი დიდება, რომლის მოსაპოებლად დიდი ცდა დასჭირდებოდა.

მესხეთი არა საქართველოდ არასოდეს არ თქმულა და მე როგორ ვიტყოდი. სახელები: მესხეთი, სამცხე და მცხეთა ყველა ჰმოწმობენ ერთსა და იმავე ქართველობასა და ახალ-შენად ახულს ქართლის, მცხეთის თემს თან წაუღია თავისი სახელი, რომელიც დროთა განმავლობაში შეცვლილა მესხად, სამცხედ. სამცხეს და მცხეთას ორთავე აქვსთ ერთი ძირი მცხ, რომელიც გამხდარა მსხ და მერე ენის ჩამატებით მესხ. ძველად ეს ხალხი უცხოთაგან იყო ცნობილი, როგორც მოსოხი. მესხეთი, სამცხე გამოდის მცხეთის ყლორტი და იმისი ზემოქართლად დასახელება ამის შემდეგ უცილო ხდება.

ხოლო თუ ბაგრატოვანთა გვარმა ენა მიალებინა ახალს საბრძანებელს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმათ პოლიტიკურივს ძლიერებასთან ერთად გაძლიერდა მესხთა კალამიც, თავის საკუთარის გავლენის მქონი. აი ამ გარემოებამ იმოქმედა, თორე ქართლში ან სხვა თემებში სხვა ენა კი არ დახვედრიათ. პოლიტიკის ცენტრი ყოველთვის ქართლში ყოფილა პირველად მცხეთას, მერე ტფილისს და ერთხელ ქუთაისს, ტფილისი როცა არაბების ხელთ იყო, მაგრამ ამ გარემოებამ სრულიად ხელი ვერ შეუშალა მესხებს, რომ თავიანთის კილოთი აღებეჭდათ ოქროს საუკუნის მწერლობა. ამ დროის ბაგრატოვანთა კარზედ და მწერლობაში იგინი ბრწყინვენ.

ჰყონდიდელთა მწიგნობართ-უხუცესობისა და ქუთათელთაგან *) მეფეთა

*) ჰყონდიდელთა მწიგნობართ-უხუცესობა ყოვლად უცილოა, ხოლო ქუთათელთაგან მეფეთ კურთხევა საეჭვოლია; ამბობენ, ქუთა-

ნიდგან ცხვირის წვერზედ დანა ჩამოუსვამს; თუმცა ცხვირის ბოლო სულ ვერ ჩამოუჭრია, მაგრამ კარგა ღრმა ნიშანი-კი დაუტყვია.

*** ხალხის მატყუარათა რიცხვმა კიდევ ერთით იმატა. ეს მატყუარანი სარგებლობენ ადამიანის გაჭირვებულის მდგომარეობით, უფულობის დროს ჩაიხელებენ ხოლმე და ერთს მანათს ასესხებენ, რომ შემდეგ, როცა დრო მოვა, ერთი ათად და ერთი ოცად გარდაახდევინონ. აი, ამისთანა ნიჭი გამოუჩენია აგრეთვე ბ-ნს მურადოვსაც, კონდიტერს გოლოვინის პროსპექტზედ, ალელოვის სახლში. ეს კონდიტერი სხვა-და-სხვა წვრილ მოხელეებსა და მწერლებს აძლევდა თურმე პატარა ბარათებს, რომ აი ამა-და-ამ კაცს ერთის აბაზის, ან ექვსის შაურის ღვინო, ან არაყი ანდეთო და თითონ თავისის მხრივაც ბარათს ართმევდა, რომ ერთი, ან ორი მანათი უნდა მომცე ოცში, როცა ჯამაგირს მიიღებო. მურადოვის ბარათ-მიღებული მიდიოდა იმ სასმელების და სხვა დუქანში, რომელშიაც იგი მიასწავლიდა, აძლევდა იმისს ბარათს და ჩაღლევდა ხოლმე. ესევე ბ-ნი მურადოვი ორ-სამ მანათის სესხებაში გაჭირვებულთ თუმნისა და თხუთმეტის მანათის ბარათებს ართმევდა თურმე. ამის გამო ძალიან შეწუხებულან ზემოხსენებულთა მოხელეთა ცოლნი და ოჯახობანი, მიუმართავთ პოლიციის ბოქაულის ბ-ნ სვიმონოვისათვის და შეუჩივლიათ თავისი დარდი. ბ-ნ სვიმონოვს გაუჩხრეკია ბ-ნის მურადოვის დუქანი და მთელი ყუთი აღმოუჩენია, ფულის ბარათებით სავსე. ეხლა ოქმია შედგენილი და ბ-ნი მურადოვი სამართალშია მიცემული.

*** ამ საერთო ქალაქის გამშვენიერებისა და გალამაზების დროს კარგი იქმნებოდა ყურადღება მიექციათ ჩვენის ქალაქის უსინათლო ფარნებისათვის. ეს ფარნები ისე საცოდავადა ჰბჟუტავს, თითქო პატრუქს ერთი წვეთიც არ აცხია ნავთიო. თუ ქალაქის მოიჯარადრეს სარგებლობა აქვს, რომ ცოტა ნავთი ჰხარჯოს ქალაქის განათებაზედ, ქალაქის მკვიდრისათვის-კი ძალიან სასიამოვნო არ გახლავსთ, სწორე მოგახსენოთ, ისეთის ფარნების დადგმა, რომელთა მოძებნაც ბნელაში მხოლოდ ჯოხის აქეთ იქით ფათურით შეიძლება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ბათუმი, აგვისტო 28. ამას წინად გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ აგვისტოს 25 დანიშნული არჩევანი ბათუმის თვით-მმართველობის ხმოსანთა ვერ შესდგა, რადგანაც თვრამეტ ამომრჩეველთაგან დანიშნულს დღეს მხოლოდ შვიდი კაცი გამოცხადდაო.

აგვისტოს 26-ს დანიშნული იყო არჩევანი მეორე რიგის ხმოსანთა. სამოც-და-რვა ამომრჩეველთაგან სხდომას დაესწრო მხოლოდ თექვსმეტი. დილის ათს საათზედ ქალაქის თავმა სხდომა გახსნა და მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთა, რომლებსაც გააცხსენა იმათი მოვალეობა არჩევანის დროს და თანაც რჩევა მისცა ამოერჩიათ ისეთი კაცები, რომლებიც პატიოსან და საქმის კაცებად არიან ცნობილნი და ქალაქის მუდმივი მცხოვრებნი არიან. შემდეგ წაკითხულ იქმნა რამდენიმე მუხლი კანონისა მასზე, თუ ვის არა აქვს ნება მონაწილეობა მიიღოს არჩევანში. მერე მეორე რიგის ხმოსნებად ამორჩეულ იქმნენ: დიმიტრი ბიკოვი, რუსი (14—1); ჭუსეინ ეფენდი ყარა-ალაზადე, მაჰმადიანი ქართველი (12—4); იოსებ ბაინი, სომეხი (11—5); მიხაილ თოხუმოვი, ქართველი (11—3); ლევან მჭედლოვი, ქართველი (10—5); ალავერდა ალავერდოვი, სომეხი (10—5); ქუსის-ოღლი მიხაილ, ბერძენი (10—6); არშაკ ცატუროვი, სომეხი (9—6); იოსებ კახხოევი, ქართველი (9—6); მიკირტუმ ტერ-ასატუროვი, სომეხი (9—6); სიმეონიდი ხარლამპი, ბერძენი (9—6); სტეფანოვი გასპარ, სომეხი (9—6).

სულ სხვა სურათს წარმოადგენდა 27-ის აგვისტოს სხდომა. ამ დღეს ანანიევის თეატრში თავი მოიყარეს მესამე ხარისხის ამომრჩევლებმა; სულ გამოცხადდნენ 108 კაცი. დილის ათს საათზედ ქალაქის თავმა გახსნა სხდომა და იმავე სიტყვით მიმართა ამომრჩევლებს, რაც წინა დღით სთქვა, მხოლოდ აქ ერთი ახალი რჩევა მისცა შეკრებილებს: საქმის წარმოების სიჩქარისათვის სასურველია, სთქვა იმან: რომ ისეთი კაცები აირჩიოთ ხმოსნებად, რომლებმაც რუსული ენა იციანო. რასაკვირველია, ამ წინადადებას თავისი საფუძველი აქვს და საყურადღებოც არის, მაგრამ ვინ არ იცის, რომ აქაურ მკვიდრთა შორის ჯერ ჯერობით ძნელად მოიპოვებიან რუსულის მცოდნენი.

საქმის წარმოების სიჩქარესთან ერთად საჭიროა საქმეთა რიგიანად და კანონიერად წარმოება ისე, რომ ქალაქს ზიანი არა მიეცეს-რა. ამისათვის საჭიროა მხოლოდ გონება გაჭრიდეს და გული შეტკიოდეს ქალაქისათვის და რა ენაზედაც ილაპარაკოს, სულ ერთია.

დარწმუნებულნი ვართ, რომ იმისთანა კაცები, როგორნიც, მაგალითად, არიან ჭუსეინ-ბეგ აბაშიძე, ახმედ-ბეგ აბაშიძე, ჭუსეინ-ეფენდი ყარაზადე, სულეიმანაღა და სხვ., რომლებმაც რუსული სულ არ იციან ქალაქის თვით-მმართველობისათვის უფრო სასარგებლონი იქნებიან, ვიდრე სხვები, „წესდებით“ რუსულის მოლაპარაკენი.

კანდიდატების რიცხვი სამოც-და-ცხრამდე იყო და წინდაწინვე ეტყობოდა, რომ არჩევანი გაცხარებული იქნებოდა. უბნად შემდგარი დასები თეატრის დარბაზში ცალცალკე ჩამოსხდნენ და ცხარედ თათბირობდნენ. უდიდესს დასს შეადგენდნენ აჭაური თათრები.

დილის სხდომაზე მხოლოდ ორი ხმოსანი იქმნა ამორჩეული. ნაშუადღევის ორს საათზე სხდომა შესწყვიტეს საღამოს რვა საათამდე. საღამოს დილანდელზედ მეტი ამომრჩევლები მოვიდნენ ღამის ორს საათამდე გაგრძელდა სხდომა და მხოლოდ ერთი ხმოსანი იქმნა ამორჩეული. რადგანაც მეტად გვიან იყო, თავმჯდომარემ სხდომა შესწყვიტა და სთხოვა მოსულიყვნენ მეორე დღეს, დილის ცხრა საათზედ.

აგვისტოს 28-ს დილით ნაკლებად მოვიდნენ ამომრჩევლები; ამორჩეულ იქმნენ კიდევ სამი ხმოსანი და კანდიდატებიც გამოილივნენ. ამის გამო დანაკლის ხმოსანთ ამოსარჩევად კანონიერ რიცხვამდე (12), კანონის თანახმად, არჩევანში ჩააყენეს თორმეტი წინანდელი კანდიდატები, რომლებიც, თუმცა გაშავებულნი იყვნენ, მაგრამ მეტი თეთრი კენჭი მიიღეს. ამათ რომ კენჭი უყარეს, არჩევანიც გათავდა, და ამ გვარად მესამე რიგის ხმოსნებად აირჩიეს: ახმედ-ბეგ აბაშიძე, მაჰმადიანი ქართველი (56—22); სერგეი ოჯანეზოვი, სომეხი (47—21); დავით ხარაზოვი სომეხი, (50—25); როსტომ-აღაზადე სულეიმან-აღა, მაჰმადიანი ქართველი (47—30); იაკობ კარშავსკი, ურია (53—50); სოლომონ საბაშვილი, ქართველი (30—18); ჭუსეინ-ბეგ აბაშიძე (49), მაჰმადიანი ქართველი; ივანე შადინოვი, სომეხი (43); გრიგოლ მჭედლოვი, ქართველი (42); გაბრიელ კოჩეცკოვი, რუსი (36); ფარნს დავითიძე, ქართველი (31); გრიგოლ მასუმოვი, სომეხი (51).

აი მეორე და მესამე რიგის ხმოსნები. ვნახოთ ვის აირჩევენ პირველის რიგის ხმოსნებად; ამათი არჩევანი დანიშნულია სექტემბრის ორისთვის.

დათ—კო

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის «ივერიის» მე-176 №-ში სურამელი კორესპონდენტი იწერება იმ უბედურს შემთხვევას, რომელიც მოჰხდა იქ ჩვიდმეტს აგვისტოს განსვენებულ სარდიონ მაჰავარიანსა და ჩემს ძმას ლუარსაბ ყუფიანს შორის. ნამდვილის თქმა მსურს და ამიტომ იმედი მაქვს დაჰბეჭდავთ ჩემს ნაწერს.

სწორედ ჩვიდმეტს აგვისტოს, დილით, მე, ჩემი ძმა ლუარსაბ და ჩემი რძალი შარაბნით ქეიშხეთიდგან ჩავედით სურამს: სასყიდლები გვქონდა რამე და ეკიპაჟის გაკეთებაც გვინდოდა. მჭედელმა შარაბანის გაკეთება ისე დააგვიანა,—თუმცა ვაშურებდით, რომ ცხადი იყო დაგვიღამდებოდა. ფარნები არა გვქონდა და ამიტომ ვიფიქრეთ ფარნები გვეთხოვნა ჩვენის ნაცნობის მეზობლის ოჯახში. მჭედლისაგან პირდაპირ მივდიოდით ჩემის რძლის წამოსაყვანად; გზაზედ ფარნების სათხოვრად გავჩერდით ყარამან მაჰავარიანის სახლებთან. შარაბანს მოუახლოვდა რამდენიმე კაცი. ერთს მათგანს, რომელიც იყო ჩერქეზულად ჩაცმული, ჩემსავით სრულებით უიარაღო და ზედ ეკიპაჟთან იდგა, ჩემმა ძმამ მიმართა სწორეთ ამ სიტყვებით:

— სარდიონ, თუ ძმა ხარ, ფარნები სთხოვე ჩემს მაგიერ ოლინკას?..

— სად მიხვალ?..

— ქეიშხეთში და ხვალ ძალიან ადრე გამოვეგზავნი...

— ჰო, მოიცა...

ამის შემდეგ ლუარსაბი მიუბრუნდა პატარა ყმაწვილს, რომელსაც აქვე თვალი მოჰკრა და იგივე თხოვნა განიმეორა.

ამასობაში ეს ჩემი უცნობი და ჩემის ძმის სიტყვით სარდიონი მიუბრუნდა აქვე მდგომს ყმაწვილს კ. ც—ძეს და უთხრა: „არა, შე... რა იყო, რომ გუშინ ჩხუბი ჩაიდინეთ?“ ყმაწვილმა ამაზედ რაღაც უპასუხა... ამის შემდეგ ჩემის ძმის, როგორც ეტყობოდა, კარგს ნაცნობს ეუთხარი: ... ეგ-კი არ არის, ჩემის ფიქრით ის არის, ვინც ისეთს უწესობას ახდენს საზოგადო კრებაში, რომ იქიდან ჯარის-კაცებს გარედ გაჰყავსთ ..

ამ ჩემს შენიშვნაზე სრულებით მოულოდნელად და უსაბაბოდ,—რადგან ის, ვის საქციელსაც მე ეძრახავდი სარდიონის არც ნათესავი ყოფილა, როგორც გავიგე, და არც მაინცა-და-მაინც დაახლოვებული ნაცნობი, მომიბრუნდა მე „სარდიონი“ და უშვერის სიტყვებით დამიწყო ხსენება. ჭეშმარიტად რომ ეხლაც არ ვიცი, რადა, რისთვის, რის გულისათვის? ჩემს კითხვას რისთვის - მეთქი კვლავ გინება მოჰყვა... გადმოვხტი შარაბანიდგან და პირში მუშტი ჩავჰარე მამიჩემის ცუდად მახსენებელს. ეს იყო, ამის მეტი არა ყოფილა-რა განსვენებულს სარდიონსა და ჩემს შორის; არც მაშინ და არც წინად როდისმე მე დავბრუნდი და შარაბანში ჩავჯექი. ჩემი ძმა ლუარსაბი იმ თავითვე თავის ნაცნობს სარდიონს ეუბნებოდა და უძახოდა: „ჩემი ძმაა ეგა, მაგას რო აგინებ, მე მაგინებ! არა გრცხვენიან, სარდიონ?“ და ამ სიტყვებითვე გააცილა იგი. მალე ლუარსაბიც გამობრუნდა შარაბანისაკენ, მაგრამ... უეცრად ქალის შეშინებული ხმა მოისმა: „სარდიონ, სარდიონ!!.“ ეს ხმა იყო მე და ჩემის ძმის სიკვდილისაგან გამომხსნელი, რადგანაც მხოლოდ ამ ხმაზედ გაბრუნდა იქითკენ ლუარსაბი და... დაინახა, რომ მოქნეული ხმალი იმისკენ მოდის, სარდიონი რომ ლუარსაბს

---

კურთხევის დავედრებული უპირატესობაც, ჩემის აზრით, მოდის სწორედ იმ დროიდამ, როცა ბაგრატოვანები აფხაზეთს ეუფლენ, მერმე სრულიად იმერეთს, ასე რომ დასავლეთ საქართველოს მართლად აფხაზეთი ეწოდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოშიაც გამეფდებოდნენ.

მეექვსე საუკუნემდე და მის წინადაც ქართული ენა ყოფილა, მაგრამ მწერლობა-კი იმისთანა, როგორც ბ-ნი ნ. უ—ელი ბრძანებს, არ არსებულა; რაც იყო, ისიც ისეთივე უმნიშვნელო იყო, როგორც თვითონ პოლიტიკებრივი აგებულება სახელმწიფოსი. რაც მაშინ მწერალ-მთარგმნელები ან მეფენი ყოფილან, აჩრდილად არ გამოსჩნდებიან იმ ზოგიერთ მეფეებთან, რომელნიც ბაგრატოვანთ გვარში გამოვიდნენ, იმ მთარგმნელებთან, რომელნიც IX—XI საუკუნეებში მოღვაწეობდნენ და ან იმ მწერლებთან, რომელნიც იყვნენ მათის ძლიერების აპოგეას დროს და მწერლობის კლასიკებრივ პერიოდში. ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, თამარ დიდი და სხვანი საქართველოს პოლიტიკებრივის ძლიერების წარმომადგენელნი არიან. ამათ გვერდით მოუყენეთ ჩვენის მწერლობის მნათობნი მესხნი წმინდა მამები თუ პოეტ-მწერლები და მაშინ წარმოიდგენთ იმ თვალის მომჭრელ ელვარებასა, რომელმაც, ვით დიდმა ნათელმა, შეიკრიბა და შეინთქა მანამდე მყოფი მცირე სხივი მეფობისა თუ მწიგნობრობისა. ბაგრატოვანთა გვარამდე არც მონარქია ყოფილა ისეთი, როგორც მიღებულია, სრულის ხელმწიფების გამომხატველი და არც უწერიათ ვისრამიან-ვეფხის-ტყაოსნები. მეექვსე საუკუნემდე ყველაფერი ცდა იყო, მონარქიის შექმნისაც და მწერლობის გაჩენისაც, ბედის მხოლოდ მონახევარე. სრული ბედი-კი შემდეგში ეწია იმათ საწადელსა, როცა იმათი ძვლებიც აღარ იყო და ზოგიერთის ხომ სახელიც წარხოცილიყო გულის ფიცრიდამ.

ბაგრატოვანთა მესხობა, ესე იგი ნამდვილი სისხლად ქართველობა სრულიად არა სჩანს ჩემის წერილიდამ. არც ის ვიცით დარწმუნებით ბაგრატოვანები ებრაელები, სომხები თუ გასომხებული ებრაელები იყვნენ, როგორც გადაჭრით ამბობს ბ-ნი ნ. უ—ელი. სხვის ფანტაზიის დამწამებელი თვითონ ფანტაზერობს პატივცემული მოკამათე და თავისი თქმული ხალას ოქროდ მიაჩნია. ამისთანა ზღაპრები რომ დავიჯეროთ, მაშინ ფარნავაზ მეფისგან ხაზინის პოვნაც ნამდვილ ამბავად უნდა მივიღოთ და საქართველოს გათავისუფლება ბერძენთ ულლისაგან ჩაფლულ ოქროს პოვნით უნდა ავხსნათ და არა ხალხის ნივთიერად გამდიდრებითა. ბაგრატოვანები ვინც იყვნენ შთამომავლობით, ჩვენთვის სულ ერთია და ვერც დავასახელებთ იმათ წინაპრებს ნამდვილ წყაროს უქონლობის გამო, მხოლოდ ამას-კი ვიტყვით, რომ სომხეთში გამეფებულან, ერთი იმათი გვართაგანი ვინმე გვარამ ჩასიძებია, თუ ზღაპარი არ არის, ვახტანგ გორგასლანს, რომლის ქალი შეურთავს და მზითვად კლარჯეთ-ჯავახეთი აუღია. განა ისე უეცარი იყო ბაგრატოვანთა გვარის გაძლიერება, რომ სასანიანთ დინასტიას დასუსტება აღარ დასცალდა? გვარამ ისე ხომ ვერ ჩაიგდებდა ხელში საქართველოს ტახტს? ამას დრო და ჟამი უნდოდა, კლარჯეთ-ჯავახეთში დამკვიდრება, გაძლიერება, მერმე გადგომა და სულ მერმე გამარჯვება და გაბატონება. ქართველთ მეფის სიძე გურამ ბაგრატოვანი, უეჭველად სომხების ბაგრატოვანთა გვარის ნათესავი იყო და იმის გამეფება აიხსნება ამ ნაირად: სასანიანთ გვარი მაშინ სუსტი უნდა ყოფილიყო, როგორც ამბობენ სომხის მატიანენი, როცა ვახტანგს გორგასლანს უბრალო ხელქვეით მთავარს ბდეშხს უწოდებენ და სომხის ბაგრატოვანების გავლენასაც უნდა ემოქმედნა გვარამის გამეფებაზე. ყოველ შემთხვევაში მესხეთი და იმასთან, ცხადია, კლარჯეთ-ჯავახეთიც საბერძნეთის (ბიზანტიის) კეისრის საბრძანებელი იყო, შეადგენდა იმის სავასალოს, როგორც ჰმოწმობს კეისრისაგან გვარამის მეფედ კურთხევა ყველა ერისთავთა თხოვნით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სომხის მემატიანეებს, რომელნიც ხედავდნენ ზოგიერთ სავასალო პროვინციებს, ვახტანგ-გორგასლანიც ვასალად მიაჩნდათ და ამიტომაც ეძახდნენ ბდეშხს. თუ ასეა, ვახტანგისაგან კლარჯეთ-ჯავახეთის მზითვად მიცემაც კეისრის ნება-დართვით უნდა მომხდარიყო. თვითონ გვარამს პირველად ჰქონდა კურატ-პალატობის ღირსება კეისრისაგან ნაწყალობევი.

ვახტანგ-გორგასლანის სიკვდილიდამ (499) გვარამ ანუ გურამ ბაგრატოვანის გამეფებამდე (575) სამოცდა თექვსმეტმა წელიწადმა განვლო და ამდენი ხანი კარგად კმაროდა, რომ ჩასიძებულს გვარამ ბაგრატოვანს, კლარჯეთ-ჯავახეთის მზითვად ამღებელს, მომეტებული შანსები მოეპოვებინა თავის გასამეფებლად, მოემხრო უმაღლესი ბატონი საბერძნეთის კეისარი, საქართველოს ერისთავები და სომხეთის ბაგრატოვანთ გვარეულობა. აი ამ ნაირად მოდის ბაგრატოვანთ გვარეულობა, რომლის გამოსვლაც მესხეთიდგან ამის შემდეგ ცხადი ხდება.

ამ გვარის გამეფებიდამ სამასიოდე წელიწადმა განვლო მესხების გამოსვლამდე სალიტერატურო ასპარეზზე; რამდენიც დრო გადიოდა, მესხეთს იმდენი უფრო ეფინებოდა განათლე-

თელსაც იმისთანავე უპირატესობა ჰქონდა მეფეთ კურთხევისა და თამარს იმან დაადგა თავს მეფობის გვირგვინი დიდუბეში. ავტ.

ხმალს დაჰკრავდა, ეს სრულიად მოუფიქრებელი უნდა ყოფილიყო ლუარსაბისთვის და შეჰხედეთ ახირებულს შემთხვევას, რომ ლუარსაბი ხანჯალამოღებული შეჰხვდა დაუნდობლად მოქნეულს ხმალს. ჩემმა ძმამ მარცხენა ხელი მისცა ხმლის სიბასრეს შიგ პირში. ხელი ძირს მოდუნებული დაეშვა, და ამასთანავე იმისი ხანჯალი მიეგება მეორედ გადმოქნეულს ხმალსა. ამის შემდეგ ზედი-ზედ ყოველს ხმლის შემოქნევას მოსდევდა ლუარსაბის ხანჯლის შეხვედრა, დაკვრა და შემოქნევა. ხმალი მოდიოდა თავში, გვერდში. მარცხენა გვერდში მოქნეულს ხმალს ხანჯალი შეჰხვდა; ძლიერის დაკვრით ხანჯალმა თითონ თავის პატრონი წააბარბაცა, მაგრამ ხანჯლის გამწარებულმა ხმარებამ ბოლო მოუღო განსვენებულის სარდიონის ბრძოლას: იმისი ხმალი ძირს დაეშვა. მებრძოლნი ერთმანეთს განშორდნენ. ლუარსაბს მარცხენა მკლავიდგან სისხლი სდიოდა თქრიალით, ჩემი ძმის „კარტუზი“ ორგან არის გაბასრული, შუბლი ერთგან გაკაწრული. ეს სულ ნამდვილად ასე იყო. განსვენებულმა სარდიონმა სული განუტევა, როგორც გავიგეთ, მეორე დღეს დილით; და რომ ჩვენ ორთავე ძმანი დღეს ცოცხალნი ვართ, მე უნდა ვუმადლიერებდე მხოლოდ ხანჯლის ვაჟკაცურად ხმარებას მართლა რომ საზარელსა და მოულოდნელს უკიდურებაში.

მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი

## წვრილი ამბები

ცნობილს ქომაგსა და მოსარჩლეს «დედაკაცის გათელილ უფლებისას» ქ-ნს კალსეირს, რომელსაც არა ერთხელა ჰქონია კინკლაობა საფრანგეთის პოლიციასთან თავისის ვაჟურ ტანისამოსში სეირნობის გამო, ეხლა მიუმართავს ვორტონ წერილით და სთხოვს, რომ, როგორც მეკანონემ დედათა მოდისამ, მოიგონე რომელიმე ლამაზი, ადვილად სატარებელი და საჰიგიენო ტანისამოსი დედათათვისაო. იმის აზრით, ეს ტანისამოსი უნდა შეადგენდეს ზედა ტანს, ხოლო ქვედა ტანის მაგიერადა განიერი შარვალი უნდა ეცვათ, ისეთი, რომ წადის ყელებში იქმნას ჩასაკეცი. ქ-ნი კალსეირი ამბობს: დარწმუნებული ვარ, რომ ამ გვარის სამოსელის შემოღებას მხოლოდ ის გაუხდება წინააღმდეგი, ვისაც მრუდე ფეხები აქვს, დანარჩენნიკი დიდი მადლობელნი დარჩებიან, რადგან ამ ტანისამოსში უფრო ლამაზი იქმნებიან, კოხტანი და ჯანმრთელობისათვისაც კარგიაო.

— რადგან ბულანჟეს დიდი მიწერმოწერა აქვს, პარიჟის საფოსტო იძულებულ ყოფილა ცალკე მოხელე დაენიშნა, რათა ყოველ დღე დიდ-ძალი წერილები მიეტანა ხოლმე იმასთან და აგრეთვე იმისის კონტორიდგანაც ფოსტაში წაეღო. ეს ფოსტალიონი პირველი ოფიციალური მოხელეა ბულანჟესი.

— „The Medic Rec.“ ი ამბობს, რომ ატლანტში, სოვანნაშია, სცხოვრებს ერთი კაცი, რომელსაც თვალები სხვა-და-სხვა ფერისა აქვს. იგი მზის ამოსვლიდგან ჩასვლამდე არაფერსა ჰხედავს ტრედის ფერის თვალით, ხოლო ჩასვლიდგან ამოსვლამდე-კი ყომრალის თვალით. ამასთან საკვირველია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ყურთა სმენაც ხან ერთის მხრივა აქვს, ხან მეორე მხრივ და მხოლოდ იმ ყურით ესმის, რომლის მხარესაც თვალი არაფრის მხედველია.

— ერთს მემამულეს კიგსტონში, ოთხის თვის წუწუნის შემდეგ, ისე მოურჯულებია მაიმუნები, რომ შაქ-კანიანთა ზანგთა საქმეს იმათ აკეთებინებს თურმე. ეს მაიმუნები სთესენ, მკიან და ჰლეწავენ ძალიან ჩქარა და ამასთან ადამიანიშვილზედ ერთი-ოთხად ნაკლები ხარჯი უნდებათ. ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ მაიმუნისათვის მუშაობა დაეწყებინოთ, ადრეცა ყოფილა მაგალითი: ამ ორასის წლის წინად სიერ-ლეონის მკვიდრნი მაიმუნებს წყალს აზიდვინებდნენ და ჩინეთში-კი ჩაის აკრეფინებდნენ.

## დეპეშა

27 აგვისტო

ნიჟნი-ნოვგოროდი. უკანასკნელ ხანებში პურის ვაჭრობა უკეთ მიდის. ყველა ნაირ ფქვილზე ფასმა აიწია, მეტადრე ჰვავისაზე; ჰილობის ტომრის ფქვილზე ფასი ავიდა 5 მან. 40 კაპიკამდე, ტილოს ტომრისაზე—5 მან. 80 კაპ. ჰვავი ცოტაა; ფუთში 50 კაპ. იძლევიან. ქვიშნის ღერღილიც ცოტაა; ფუთი ფასობს 1 მანეთად. ფეტვს კარგად ყიდულობენ: ორენბურგისა და სიზრანისა ფასობს 10 მან. 75 კაპ. ათი ფუთი; მეორე ხარისხისა კამიშინისა—9 მან., ორენბურგისა და სიზრანისა—9 მან. 50 კაპ. პირველის ხარისხისა სულ ერთიანად გაიყიდა. შვრიას ნაკლებად კითხულობენ, ჰილობის ტომარა ფასობს 3 მ.—3 მან. 20 კაპ. ციმბირის თეთრი პური საუკეთესო ხარისხისა—9 მან. 75 კაპ. პერმის მარილი წინანდებურად იყიდება.

ზანზიბარი. ხუთს აგვისტოს აქედგან წავიდა სამხედრო გემი „მოეჟე“ ტონგაში, სადაც „აღმოსავლეთ აფრიკის“ საზოგადოებამ ფორმალურად უნდა ჩაიბაროს ქვეყნის მმართველობა. ნაპირ-ნაპირ გაგზავნილი ნავი ძალა-უნებურად უკანვე დაბრუნდა, რადგანაც მცხოვრებლებმა სრულიად უმიზეზოდ თოფი ესროლეს; მეორე დღეს იგივე საქმე დამართეს ორს ნავს. «მოეჟე»-დგანაც დაუწყეს სროლა მცხოვრებლებს და ამ ნაირად განფანტეს. სულთანმა ბრძანება გასცა დასაჯონ მეამბოხენი. მშვიდობიანობა აღდგენილია.

პეტერბურგი. გუშინ აქაურს უნივერსიტეტში, სწავლის დაწყების წინად, რექტორმა ვლადისლაველმა სიტყვა წარმოსთქვა. რექტორმა სთქვა, რომ სტუდენტის მეცადინეობა იმაზე უნდა იყოს მიმართული, რომ სწავლა-დამთავრებული ყმაწვილი შეიქმნას ერთგულ და განათლებულ მოსამსახურედ ხელმწიფისა და რუსეთისა. განათლებული გონება ყველგან ეროვნულია; ჩვენი გონება რუსული გონებაა, რომელიც ყურს უგდებს როგორც წარსულს, ისე აწმყოსაც; ამ ჩვენს რუსულს გონებას კარგად ესმის, რომ ჩვენის ცხოვრების გადაკეთება უცხოელთა მიხედვით მაზარალებელი არის. რექტორი ურჩევდა სტუდენტობას, თქვენს ზნეობრივს აღზრდაზე იზრუნეთო, თქვენი ნებაყოფლობა უნივერსიტეტისას უნდა დაუმორჩილოთ, უნივერსიტეტში მშვიდობიანობა უნდა დაიცვათ და მავნე სწავლა-ქადაგებას არ აჰყვებითო; თუ ვინიცობაა საჭირო იქნება, თქვენს უფროსებს უნდა მიმართოთო. დასასრულ რექტორმა სთქვა: მე ვეცდები, რომ სტუდენტებს ყოველი განსაცდელი ავაცილო და რომ არავითარი უსიამოვნება არ მოხდესო.

იმპერატორის მატარებელი წავიდა ელიზავეტოგრადში ვარშავის გზით ვილნამდე და აქედგან პოლესისა, ფასტოვისა და ხარკოვ-ნიკოლაევის გზებით. პოლესის გზებზე ყველა სადგურები, სადაც მათნი უდიდებულესობანი პირველად მიბრძანდნენ, ყვავილებით იყო მორთული; ზოგიერთ სადგურებზე გამართული იყო ბაღები ტროპიკის მცენარეებისა, ვენზილებითა და იმათ უდიდებულესობათა ბიუსტებით. ელიზავეტოგრადში ჩინებულად მორთულს სადგურზე მათ უდიდებულესობათა მიეგებნენ მთავარმხედარი ჯარებისა, ხერსონის გუბერნატორი, თავად-აზნაურთა წინამძღოლი და ვაჭრობა. საპატიო ყარაული დრაგუნის ყაზახის მე-25 პოლკისა იყო. ხელმწიფე იმპერატორმა ამალითურთ გაუარა ყარაულს და სალამი მისცა. ხელმწიფე იმპერატრიცას მანდილოსნებმა მიართვეს თაიგული; ებრაელთა დეპუტატმა მიართვა ხელმწიფეს ავგაროზად შეხვეული პატარა დაბადება; თავად-აზნაურებმა და ვაჭრებმა მიართვეს ვერცხლისა და მოოქრულის სინებით პურ-მარილი; სინებზე გამოხატული იყო სახელმწიფო ღერბი და ელიზავეტოგრადისა. სადგურის სიახლოვეს იდგნენ თემის მამასახლისები, ქუჩებზე-კი მოწაფენი. როცა მათნი უდიდებულესობანი სობოროში მიდიოდნენ, ბავშვები გალობდნენ ეროვნულს ჰიმნს. სობოროში მათ უდიდებულესობათა მიეგება არქიეპისკოპოზი ხერსონისა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა. წირვის შემდეგ სადილი იყო გამართული სასახლეში, რომელიც ნიკოლოოზ პირველის დროს არის აშენებული. ქალაქი ერთიან განათებული იყო. შაბათს მათნი უდიდებულესობანი მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე დილის რვა საათზე გამოვიდნენ მანევრების საყურებლად და საუზმედ სასახლეში დაბრუნდნენ; საუზმის შემდეგ მიიღეს თავად-აზნაურობა, ერობა და დეპუტაციები. შემდეგ მათ უდიდებულესობათ ნახეს გიმნაზია და თავშესაფარი, სადაც გიმნაზიისა, პროგიმნაზიის, რეალურის სასწავლებლის, კერძო გიმნაზიის და საქალებო გიმნაზიის მოსწავლენი იყვნენ შეგროვილნი; სახალხო სკოლების მოწაფეები გიმნაზიის ბაღში იყვნენ. მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს აგრეთვე სახელმწიფო ცხენის ქარხნის საჯინიბოები, სამხედრო საავადმყოფო და სამხედრო ფურნე.

28 აგვისტო

ნიჟნი-ნოვგოროდი. ნიჟნი-ნოვგოროდის საიარმუკო კომიტეტს შემდეგი ქაღალდი წარუდგინა იარმუკის მოვაჭრეთა კრებულმა: „ჩვენ, ქვემორე ამის ხელის-მომწერელნი, წარმომადგენელნი რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხის სავაჭროსა და სამრეწველო წარმოებისა მოვმართავთ კომიტეტს ამ ქაღალდით და გვსურს მივაქციოთ იმისი ყურადღება იმაზედ, რაც უმთავრესად და აუცილებლად ეჭირება რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობას. ჯერ შარშანვე, როცა ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა დაათვალიერა ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკა, აქ შეკრებილმა სრულიად რუსეთის მოვაჭრეთა კრებულმა მიაქცია იმისი ყურადღება სატამოჟნო ტარიფის გადათვალიერების საჭიროებას და იშუამდგომლა, რომ ეს საქმე შესრულებულ იქმნას, 1868 წლის მაგალითისამებრ, მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რადგანაც იმათ პრაქტიკულად იციან ქვეყნის წარმოების საქმე და ვითარება. ფინანსთა მინისტრის პასუხმა, რომ მხოლოდ მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთა დახმარებით შეიძლება შემუშავდეს რიგიანი სატამოჟნო ტარიფიო, გული გაუკეთა და იმედი მისცა რუსეთის მწარმოებელთ, რომ ყოვლად საჭირო სატამოჟნო რეფორმა საკეთილოდ შესრულდებოდა; მაგრამ რადგან განსახილველი საეკონომიო საგნები ბევრი იყო, ტარიფის გადათვალიერება დაგვიანდა. ამასობაში-კი

---

ბის სხივი ბიზანტიის მეზობლობის წყალობით და მე-IX საუკუნეში ხომ მართო მესხეთში იყო სკოლები და სწავლა-განათლება, როგორც ჰმოწმობს ჯევანშირ, და სწავლულებიც იმათგან იყვნენ. ბაგრატოვანთა გვარმა რომ პოლიტიკებრივი ძლიერება შექმნა, მწერლობაც აღორძინდა იმასთანვე და განვითარების უმაღლეს წერტილამდე მიაღწია; ჯერ პროზა აჰყვავდა და მერმე პოეზია. პირველის სასიქადულო ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ ვისრამიანი და მეორისად ვეფხის-ტყაოსანი. ამ ბაგრატოვანთა გვარის მწერლები ვიდრე საქართველოს წვრილ სამეფოებად დაყოფამდე მესხები იყვნენ და იმათი კილო ჰსუფევდა მწერლობაში. ისე ძლიერი იყო იმათი გავლენა, რომ მეთერამეტე საუკუნის ზოგიერთ მწერლებსაც-კი მოხვდა, რის მაგალითებს ქილილ და დამნა და სიბრძნე სიცრუისა საკმაოდ გვაძლევენ. მაგრამ ამ აზრის დასარღვევად ჩემ პატივცემულს მოკამათეს არაფერი საბუთი არა მოჰყავს, იმის გარდა, რომ ამბობს, ჯერ უნდა დამტკიცდეს, თუ რამდენად არის მესხური ელემენტი ჩვენს მწერლობაში. ამის პასუხად დავასახელებთ რუსთველის მიმართ პოეტ არჩილ მეფის საყვედურს უშნო ჯავახურის სიტყვების შემოტანისთვის ქართულს მწერლობაში. ესეც საკმარისია მას შემდეგ, რაც მაგალითები მაქვს წინა წერილში მოხსენებული.

მესხეთის კილოს გამთავრებით სრულიად არ შემოსულა უცხო ენა საქართველოში. იოანნე, გიორგი და ევთიმე წმინდა ქართულს ლაპარაკობდნენ ისე, როგორც იმათი სამშობლო მესხეთის თემი წმინდა ქართულს ლაპარაკობდა და დღესაც ჩინებულად ლაპარაკობს, თუმც ორიოდე საუკუნე გადის მას აქეთ, რაც მაჰმადიანობის ცეცხლმა და მახვილმა მოგვაშორა. არც პირველ მთარგმნელებად იწოდებიან ეს წმინდა მამები; ვიდრე ესენი გამოვიდოდნენ, ქართულს ენაზე მთარგმნელები ყოფილან, როგორც ჩამოთვლილი აქვს ბ-ნს ნ. უ—ელს, მაგრამ კიდევ ვამბობ, მანამდელი მოღვაწეობა აჩრდილიც არ არის და ბევრი ხომ ჯერ კიდევ ასახსნელი და დასამტკიცებელია. მთარგმნელი მესხები ტაოით ევთიმე, რომლის აუარებელ ნათარგმნ თუ ორიგინალ თხზულებათაგან ორმოც-და-თორმეტი კიდევ დარჩენილა, და თრიალეთით გიორგი, რომლის ნაღვაწი დღეს თვრამეტი-და თხზულება მოგვეპოება, ისეთნი ბურჯნი არიან, რომ იმათი შერყევა ყოვლად შეუძლებელია. მანამდე უსუსური ქართული მწერლობა მათგან გაძლიერდა და ფესვი გაიდგა, თუმცა ბარბარიზმებ ნარევი-კი იყო.

მეცხრე საუკუნეში მხოლოდ სამცხე იყო სკოლებით მოფენილი, ჯევანშირის თქმით. თვითონ მესხეთის მკვიდრნი ჯერ რომისა და მერე ბიზანტიის იმპერიაში ცნობილნი იყვნენ, როგორც ჩინებული ვაჭრები. სულ ძველად საქართველოს თემებში იმის მეტს არც ერთს არ იცნობდნენ უცხო ხალხები. მოსოხის ვაჭრობა და მრეწველობა *) განთქმული იყო. საბერძნეთ-რომის ხშირად ქვეშევრდომი თვითონაც გაძლიერებულა იქამდე, რომ ბატონისთვის მოსვენება არ მიუცია. დიდი მტრიდათ, რომის თავს ზარდამცემი, მესხეთზედაც მეფობდა და სრულიად იმერეთ სამეგრელოზედ, რომელიც იყო აგრეთვე პონტოს საბრძანებელი. ქრისტიანობის პირველი ხმა მოციქულთაგან მესხეთით მოისმა, ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც მოხდებოდა რომისა თუ ბიზანტიის იმპერიებში ცოტად თუ ბევრად გამოდიოდა მესხეთშიაც, ზოგი აღებმიცემობის წყალობით და ზოგიც პოლიტიკებრივად.

ყოველ გვარი გარემოება ხელს უწყობდა მესხეთს, რომ სწავლა-განათლების წყაროსთან, რომაელ-ბერძნებთან ახლო მდგარიყო და აღებ-მიცემობის წყალობით საშუალება ჰქონებოდა შინ სკოლები დაემართა. განათლებულმა ბატონებმა ჰკუაც ასწავლეს და თავიც აცნობინეს. სპარსელების ხელში ხშირად ყოფნა იმათ ხეირს არ დააყრიდა, რომაულ-ბერძნულისებურ კეთილ ნაყოფიერ გავლენას ვერ იქონიებდა მათზე. სპარსელები რასაც შესძენდნენ იმათ, ყველაფერი აზიური ექნებოდათ, ზნე-ჩვეულებაცა და პოლიტიკებრივი ცხოვრებაც გულ-წრფელი და თვისის თავის ვერ მოდარაჯე. თავის მდებარეობისა და მდგომარეობის წყალობით მესხეთი ევროპიულის მხნეობის, შრომის, განათლებისა და პოლიტიკის შემომტანი შეიქნა საქართველოში მეთერთმეტე, მეთორმეტე საუკუნეში. იქიდამ საერო მწერლებიც გამოვიდნენ, რომელთაც კალმის ძლიერება თანამედროვე პოლიტიკის ძლიერების ხარისხზედ აიყვანეს. სარგის თმოგველი, რუსთველი, შავთელი და სხვანი, რომელთა მოვლინებაც ჩვენის მწერლობის კლასიკებრივს პერიოდში ბ-ნს ნ. უ—ელს სარწმუნოდ მიაჩნია, სულ მესხები იყვნენ და დღევანდელ დღემდისაც-კი მათი გავლენა ცხადად ატყვია ქართულს მწერლობას.

ევთიმე და გიორგი მთაწმინდელთა მხნეობამ და შრომის სიყვარულმა ერთის და სარგის თმოგველისა და რუსთველის გამოთქმის ხერხმა, ენის პლასტიკამ მეორე მხრით შეჰქმნეს ის სულიერი საზრდო და საუნჯე ენისა, რომლის წყალობით ქართველობა დღემდე დაცულა.

ოქროს საუკუნე ჩვენის მწერლობისა იმ დროსვე მესხურია და გაძლიერდა სწორედ მესხეთიდამ.

პ. მირიანიშვილი

*) ბერძნებიხალიბთაგან გაეცვნენ ფოლადს და თვითონ საგანს იმის მრეწველის თემის სახელი უწოდეს. ხალიბნი მესხეთის სათემოს ეკუთვნოდნენ და იყვნენ ქართველები.

ავტ.

საექსილო კურსმა აიწია, მეტადრე ეხლა, და ამის გამო უფრო საგრძნობელი შეიქმნა ის უსწორ-მასწორობა, რა უსწორ-მასწორობითაც აძლევს გადასახადი საქონელსა და წარმოებას, რის გამოც მთავრობის ღონის-ძიებანი ჩვენის საერო მრეწველობის ასაღორძინებლად ძალას ჰკარგვენ. ამის გამო ჩვენ, ვაჭართა კრებული, ვსთხოვთ კომიტეტს იშუამდგომლოს ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ რაც შეიძლება მალე შეუდგნენ საერთოდ სატამოჟნო ტარიფის გადათვალიერებას. სატამოჟნო ტარიფის საქმეს გვერდზედ უდგას სავაჭრო ხელ-შეკრულებათა და ტრაქტატების საქმეც. რამდენადაც ტარიფი ჰშველის და ხელს უწყობს შინაობაში წარმოების აღორძინებასა და გაძლიერებას, იმდენად სავაჭრო ხელ-შეკრულობანი და ტრაქტატები, უცხო სახელმწიფოებთან დადებულნი, შველის და ხელს უწყობს აღორძინებასა და გაძლიერებას საქონლის გატანის საქმისას უცხო მაზრებში. ამით, რასაკვირველია, ქვეყანას უადვილდება საერთაშორისო სავაჭრო ბალანსის გასწორება. ეხლანდელი ხელ-შეკრულებანი და ტრაქტატები-კი სრულიად არ ეშესაბამება დღევანდელს ჩვენს საჭიროებას: შიგ სწერია მხოლოდ საზოგადო დადგენილებანი, რომელნიც სარფიანი არიან უცხოთა ვაჭრობისა და ნავოსნობისათვის სარუსეთოში და სრულიად არ აადვილებენ რუსეთის ვაჭრობის აღორძინების საქმეს უცხო ქვეყნებში. ფრიად სასურველია გადათვალიერებულ იქმნას ეს ტრაქტატები და ისეთი საურთიერთო დამოკიდებულება დამყარდეს, რომ შემდეგში ჩვენი ეკონომიური მისვლა-მოსვლა უცხო სახელმწიფოებთან დამყარებული იყოს ინტერესების არა თეორიულსა, არამედ პრაქტიკულს ურთიერთობასა და კავშირზედ. როცა ეს საქმე გაკეთდება, მაშინ, რასაკვირველია, გაადვილდება ჩვენის საქონლის მრავლად გატანაც საზღვარ-გარედ. საზღვარ-გარედ, თუ სხვა საქონელს არა, სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებს მაინც გავიტანთ მაშინ ბლომად. რაიცა შეეხება ქვეყნისათვის ფრიად სარფა საქმეს სამანუფაქტურო საქონლის გატანისას საზღვარ-გარედ, იმ საქონლისას, რომელშიაც უმთავრესი ფასი ერთის შრომასა აქვს, ამ საქონლის გატანას ძალიან აძნელებს სატამოჟნო ბაჟები, რომელიც აძევს ასეთის საქონლის წარმოებისათვის საჭირო მასალასა და იარაღს. ჩვენს სამანუფაქტურო მრეწველობას დიდად უშლის ხელს საზღვარ-გარედ იმის ნაწარმოების გატანის დროს მოცილეობა უცხო სამრეწველო მწარმოებელთა, რომელნიც წარმოებისათვის ყველა საჭირო მასალას იღებენ ან სრულიად უბაჟოდ (ინგლისი) და ან მცირე ბაჟის გადახდით (გერმანია); ყველაზედ მეტად წინ-წასულს წარმოებას ბამბეულობის ქსოვილებისას, რომელიც დიდად კარგად არის ნაკეთები, ხელს უშლის ისა, რომ ბაჟი აძევს ბამბას. ამის გამო ეს ქსოვილები საერთა-შორისო ბაზარში ველარ ებრძვის უცხოეთის ქსოვილებს. მაგრამ ბამბაზე ბაჟი საჭიროც არის. უამბაჟოდ ბამბის თესვა რუსეთში ფეხს ვერ წასდგამს წინ და ჩვენი სავაჭრო ბალანსიც ძირს დაიწევს, რადგან მაშინ ბევრის ფულის ძლევა მოგვინდება უცხოეთიდამ შემოტანილის ბამბისათვის. მოსპობა ანუ შემცირება სატამოჟნო ბაჟისა, მრეწველობისათვის საჭირო მასალაზედ დადებულისა, არ გაადვილებს ჩვენს გარეშე ვაჭრობას და დაჰლუპავს-კი იმ ჩვენს მწარმოებელთ, რომელნიც საკმაოდ ბლომა საქმესა და სამუშაოს აძლევენ ხალხს. ჩვენი საქონელი მაშინ გავა მხოლოდ ბლომად საზღვარ-გარედ, როცა დაწესდება, რომ დაუბრუნდეს ხოლმე ის ფული, რომელიც ბაჟად ეძლევა მთავრობას წარმოებისათვის საჭირო მასალაში. ამ ფულის დაბრუნება არ მისცემს ზარალს სახელმწიფო ხაზინას: ბაჟი დაუბრუნდებათ მხოლოდ იმ წარმოებისათვის, რაც მეტია და რაც უცხოეთის ბაზარში მიდის გასასყიდად. თუ ასეთი ღონის-ძიება არ მოუმატებს სატამოჟნო შემოსავალს, ეს მაინც იქნება, რომ წარმოების აღორძინება დიდს სამუშაოს მისცემს ხალხს და მაშინ სხვა შემოსავალი გაუმრავლდება და გაუძლიერდება ხაზინას. რადგან ასეთი დიდი მნიშვნელობა ექმნება ასეთს ღონის-ძიებას, ამიტომ ვაჭართა კრებული სთხოვს კომიტეტს იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე, რომ ეს საქმე, რაც შეიძლება, მალე გადასწყდეს“.

ამ ქაღალდზე ხელი უწერია ასს თექვსმეტს კაცს.

### 29 აგვისტო

**პეტერბურგი.** სასახლეში გამართულს სადილზე ელისავეტოგრადს, შაბათს, მიწვეულნი იყვნენ: თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ერობის სამმართველოთა თავმჯდომარენი და ქალაქის თავი. საღამოს ბაღში სასახლის წინ იყო ჩირაღდანი და შუშხუნები აუშვეს. მათნი უდიდებულესობანი სასახლის სარკმელიდგან უყურებდნენ. როდესაც გაჩირაღეს ხელმწიფისა, დედოფლისა და მემკვიდრე ცესარევიჩის ვენზილებით შემკული დეკორაცია და ირგვლივ შუშხუნები კლაკნით აისროლეს, ერთ-ხმად დასძახა „ურა“ მრავლად შეკრებილმა ხალხმა. შუშხუნის გათავების შემდეგ მათნი უდიდებულესობანი მოშორდნენ სარკმელს, მაგრამ მასუკან „ურას“ განუწყვეტელ ძახილზე კვლავ მიეიდნენ სარკმელთან და ხელმწიფე მოწყალედ თავს უკრავდა ხალხს საღამოს დროს.

„Нов Вр.“-ის სიტყვით, ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო გამართონ შუა ენკენისთვეში კიევში კრება არყის გამომხდელთა. კრების საგანია განიხილონ სოფლად არყის ხდა.

**ხაბაროვკა.** 2 აგვისტოს იყო მიწის ძვრა ამურის გაყოლებაზე, 400 ვერსის მანძილზე.

**ტომსკი.** ლექციების კითხვა უნივერსიტეტში უნდა დაიწყონ პირველს ენკენისთვეს. 64 სტუდენტია მიღებული, უმეტესად-კი სემინარისტები არიან. შაბათს გაიხსნა ზოგად-საცხოვრებელი სახლი, რომელიც ააშენეს კერძო შემოწირულებით.

**პენზა.** შაბათს, „ნეოკლადნი“ ხარჯის დეპარტამენტის დირექტორის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი, თუ რა ზომები უნდა მიიღონ სოფლად არყის ხდის გასაუმჯობესებლად. მონაწილეობა აქვსთ მიღებული თავმჯდომარეებს(?) პენზისა, სარატოვისა, სამარასი, რიაზანისა და ორენბურგის გუბერნიებიდამ.

**ბაქო.** პარასკევს ღამით დაიწვა ბალახანში კუპრის ტბა; იწვის ნავთის ბოლოზი, რომელშიაც 30,000 ფუთამდეა. ცეცხლი გუშინაც იყო; გუშინვე იწოდა სანათური, აგრეთვე ლუმელის ბანი იმის გამო, რომ მეზობლად მყოფი ლუმელი გაუფრთხილებლად აენთოთ.

**თეირანი** (რეიტერის სააგენტოს დეპეშა). ბრიტანიის მეზხედელი აგენტი იუწყება, რომ ისაკ-ხანი თავს ესხმის ქაბულს, სადაც იმყოფება მძიმე ავადმყოფი ემირიო.

### 30 აგვისტო

**პეტერბურგი.** კვირა დილით მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ინებეს და წაბრძანდნენ ელისავეტოგრადიდგან დაუბოლოვებელ „ურას“ ძახილის დროს. ნაშუადღევის პირველს საათზედ, აღლუმებს შემდეგ, მოვიდნენ სოფ. აჯამკას, სადაც ეკკლესიასთან მიგებებულ იქმნენ სამღვდელო კრებულის მიერ ჯვრითა და საეკკლესიო დროშით. ეკკლესიის კარ-ბჭესთან იდგნენ გუბერნატორი და ერობის გამგეობის თავმჯდომარე. აჯამკიდგან მათნი უდიდებულესობანი წავიდნენ მედვედოვკას, სადაც ტყეში საუზმე იყო გაშლილი. საუზმეს შემდეგ მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ ნოვო-პრაგაში. ეს აგარაკი მშვენივრად იყო მორთული და დიდ-ძალი ხალხი აღტაცებით მიესალმა მათს უდიდებულესობათ. სასახლის ეზოში თავი მოეყარა იქაურს თავად-აზნაურობას და ქალაქისა და ერობის გამგეობათა წარმომადგენელთ. ქ. ალექსანდრიისა და აგარაკ ნოვო-პრაგისა, იქაურ ერობისა და თავად-აზნაურთა მხრივ მათს უდიდებულესობას მიართვეს პურ-მარილი, ხოლო ერობის გამგეობის თავ-მჯდომარემ ხელმწიფე იმპერატრიცას მიართვა ყვავილების თაიგული.

მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარის მთავარ-სარდალი, გენერალ-ადიუტანტი ბრევერნ-დე-ლაგარდი დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

უმაღლესად ჯილდონი ებოძათ: ორდენები წმ. ვლადიმერის 1 ხარისხისა: დაშავებულთა კომიტეტის წევრს ფრიდრიხსს, სამხედრო საბჭოს წევრს სემსკს; ბრილიანტის ნიშნები წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენისა: ოდესის სამხედრო ოლქის ჯარის მთავარ-სარდალს როოპს, უმთავრესის შტაბის უფროსს ობრუჩევს, კორპუსთა უფროსებს: 12—ტაუბეს, 11—შახოვსკის, 1—დანილოვს და სამხედრო სასწავლებელთა უფროსს მახოტინს; თეთრის არწივისა: ოდესის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს ფრევსკას და სხვათა; წმ. ვლადიმერის მე-2 ხარისხისა: სირ-დარიის ოლქის სამხედრო გუბერნატორს გროდეკოვს, უმთავრესს შტაბში მოხელეს კუროპატკინს და სხვათა; წმ. ანნასი 1-ლის ხარისხ. გუბერნატორებს: ტფილისისას ზისსერმანს, ესტლანდიისას შახოვსკის და უცხო სარწმუნოებათა დეპარტამენტის დირექტორს კანტაკუზენს; წმ. სტანისლავის 1 ხარისხისა: კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორს მიცკევიჩს; ვიცე-დირექტორს უცხო სარწმუნოებათა დეპარტამენტისას ბესტუჟევ-რიუმინს ებოძა ოქროს სათუთუნე, ბრილიანტებითა და მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა სახელების ვენზილით მორთული; წევრს სამკურნალო საბჭოსას ბალინსკის—თეთრის არწივის ორდენი. ფინანსთა მინისტრის მოხსენებით ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლად-მოწყალედ უბოძა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა წევრებს: გენგროსს ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა, რიტკოვ-როჟნოვს ორდენი წმ. ვლადიმერის 2 ხარისხისა. ებოძათ აგრეთვე: მსროლელთა ნაწილის ინსპექტორს ნოტბეკს ინფანტერიის გენერლობა, კიევის სამხედრო ოლქის არტილერიის უფროსს არტილერიის გენერლობა, სამსახურიდგან დათხოვნით; გზათა მინისტრის თანამდებობის დროებით აღმასრულებელს სელიფონტოვსა და რკინის გზათა უმთავრეს ინსპექციებთა-მმართველს შერნვალს—ტაინი სოვეტნიკობა.

### 31 აგვისტო

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია სავაჭრო ტრაქტატი, ისპანიასთან შეკრული და, წესდება ყაზანის საქალაქო ლომბარდისა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ტყავები სულ ერთიანად გაიყიდა შარშანდელზე უფრო ძვირად; ყაზანის ბეწვის ტყავი იყიდებოდა 12 მან. 75 კაპ.—13 მან. 50 კაპ. გურიევისა და ორენბურგისა გამხმარი—11—12 მან. ფუთი; ცხენის ტყავი გაუკეთებელი ცალი—4—5 მან. ცხვრის ტყავები და საქურქე ტყავი იარმუკის დასასრულში ნაკლებად იყიდებოდა, მუშტრები ცოტაა. თალათინი იყიდებოდა ფუთი—15—18 მან. რუსული ბეწვი იყიდებოდა თეთრი ფუთი 9 მან.—9 მან. 50 კაპ., შავი—6 მან. 50 კაპ.—7 მან. 50 კაპ. გაუკეთებელი ცხვრის ტყავი იყიდებოდა 90 კაპ.—1 მან. ცალი. კურდღლისა—9—12 კაპ. ცალი. ნახევარზე მეტი გაუყიდელი დარჩა. თხის ტყავი—60 კაპ.—1 მ. 40 კაპ. ციმბირის ბეწვი—28—29 მან. რუსული—20—23 მან. ფუთი ციმბირის ფუფარი—7 მ.—7 მ. 50 კ. დაბალის ღირსების ვიატკის ტილო ერთ მილიონ არშინამდე გაუყიდავი დარჩა; ფასმა დაიწია. ხივის ბამბა გაიყიდა ფუთი, ნაღდ ფულზე, 9 მ. 25 კაპ. ნისიად ექვსის თვის ვადით—9 მან. 50 კაპ. ბუხარის ბამბა, საუკეთესო 8 მ. 25 კ.; შუათანა—7 მ. 75 კ.; სულ მდარე არ იყიდებოდა. ტაშკენტისა თითქმის ისე იყიდებოდა, როგორც ბუხარისა. სპარსეთის ბამბა წვრილ-წვრილად გაიყიდა, ნაღდზე, 7 მან. ამერიკულის თესლის ტაშკენტის ბამბა უმეტეს ნაწილად, რაც მოვიდა, წინანდელი დაკვეთილი იყო ფუთი 10 მან. 50 კ.

**სოფია.** როდესაც რიზოვმა თავის გამამართლებელს სიტყვაში სთქვა, რომ პრინცმა კობურგისამ ბოლგარია უნდა დასტოვოსო, დამსწრე საზოგადოებამ ტაში დაუკრა; ამიტომ პოლიცია გარს შემოეხვია სასამართლოს დარბაზს.


## განცხადებანი

ამ 1888 წლის ენკენისთვისათვის სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში 40 ვაკანსია იქმნება; მეორე, მესამე და მეოთხეში ვაკანსია არ არის. მსურველთა თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 20 აგვისტოდამ 27-დე და თან უნდა წარმოადგინონ წლოვანებისა, აზნაურობისა და ბანკის მოწმობა, რომ მოსწავლის მშობელი (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება. ვისაც ქუთაისის საზნაურო სასწავლებლის 1 განყოფილების ვაკანსია არა ხვდება შეუძლიანთ სენაკს საზნაურო სკოლის თავისუფალს ვაკანსიებს მოჰმართონ 15 სექტემბრამდე.

სასწავლებლის ინსპექტორი ს. გ. ყიფიანი

(5—3)

## სკოლა და პანსიონი
### მ. ა. ნასიძისა

(ქუთაისში, ელისაბედის ქუჩაზედ, თ. ანდრონიკაშვილის სახლებში, № 93)

ამზადებს ბავშვებს გიმნაზიის, რეალურ და საქალაქო სასწავლებლის პირველს კლასისათვის. გარედამ მოსიარულე მოწაფენი იხდიან თთვეში 5 მანათს, პანსიონში მცხოვრებნი 25 მანათს. (10—6)

## საკომერციო კურსები
### ქალებისა და ვაჟებისათვის.

#### წელიწადი მეშვიდე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1888—89 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და მხოიანი.

სწავლა დაიწყობა 25 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნავთლის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს ტფილისს. (12—5)


Доз. ценз. Тифлисъ, 31-го Августа 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე